

S72  
1990

1990 Վ. ՈՏԵՑՅԱԿՈՒ ՈՒՐ 1

# ԳՐԱԳՈՐԾ



# სანახარი

ათარ ჯიშაკიანი

ტანწერწეტა ნამვის ხე  
ხეწნთან ჩამოსულა,  
თავს ვარსკვლავი ხურავს და  
მსრუბზე ბამბის ქულა.  
ტეიდან შოუწვევია  
დათვი, ტურა, ძელა,  
ტეის სხვა ბინადარნიც  
აქ არიან ეველა.  
აი, კასაკური,  
აი, სოცრება,  
დათუნა თიკანს  
გულში ვხუტება.  
ერთად თამაშობენ  
შამალი და ტურა,  
შველთან ცხვარი,  
კატა თავთან  
დამკობობებულან.  
თოვლის წანაც ცეკვავს  
ხანუქრებით ხავხე,  
უბეს გვიხვებს ხილით  
და თან ველთაცვს ასე:  
ამ ხასურველ სტუმრებს  
როგორც შევხვდით დღესო,  
ასე შევხვდით კვლავაც  
მრავალ ახალ წელსო.

მხატვარი ლალი ლომთაძე





## ლაიხრუნეთ ჩემი ირემები

გოდარძი როხალი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

თუ გახსოვთ, არაგვის ხეობაში, ანანურის ქვემოთ, მურყინიანი ჭალა იყო. ახლა იქ მოუსვენარი მდინარე ხელოვნურ ზღვად დამდგარა და მრუმედ იტალღება.

თუ გახსოვთ, იქვე ჟინვალის იყო, ძველი ნაქალაქარი, ძველი ციხეებით და პატარა კვლესიებით.

მურყინიან ჭალასა და ჟინვალს შორის ველები იყო.

მთიულურ ფარდაგივით ლამაზი ველები. ყვავილებით ათასფერად შემკობილნი. ტურფა და მწვანელიოვანი.

აი, სწორედ იმ ველებზე, დამდამობით, როცა მთავრე გადმოადგებოდა საარაგვის, ორი ირემი ბალახობდა.

იქვე, ველის პირას, პატარა ბიჭი იჯდა და ხალამურს უკრავდა. ბიჭს ოქროსფერი კულულები ბეჭებზე ეყარა. ფეხშიშველა იყო, არც ტანზე ემოსა არაფერი.. ირემები შეიძლება დაგენახა, მაგრამ, ბიჭს იშვიათად თუ ვინმე შეამჩნევდა.

ზემოთ ანანურის კვლესია იდგა. ირემები ხანდახან გაუზღებოდნენ, თავებს მაღლა ასწევდნენ და ვერე გარინდებულები

შეკურებდნენ კვლესიას.

ანანურს მაშინ სულ სხვა ღვთაებრივი შუქი დაჰკრავდა.

ზემოთ იდგა.

ზემოდან გადაყურებდა ქვეყნას.

ახლა კი ზემოდან უყურებს ქვეყანა ანანურს. ანანურის კვლესიას ქვემოდან ზემოთ რომ უყურებდი, სხვა ეშხი პქონდა, სხვა სიდიადე. ალბათ ის ორი ქორბუდა ირემიც გრძნობდა ამას და იმიტომ შეკურებდნენ ისე გარინდებულები.

რატომღაც, რატომღაც მგონია, რომ ჩვენც ზემოთ უნდა შევხედოთ ჩვენს წარსულს და არა ქვემოთ. გავეყუნდე, გავერინდოთ ირემივით და ავითროლდე!... ავითროლდე, როცა წარსულს ავეყრებთ ზემოთ და ფეხშიშველა ბიჭი ხალამურს უკრავს.

ანანურში განთქმული მონადირეები ცხოვრობდნენ, მაგრამ არასოდეს არავის არ გაუვლია გულში იმ ირემზე სანადიროდ წასვლა. მხოლოდ საცქერლად მიდიოდნენ ხოლმე ხანდახან. თითქმის ყველა ანანურელმა იცოდა მათი არსებობა. ჭალის ანგელოზებს ეძახდნენ. თუკი როდესმე, დღისით შემაზე წასულნი შემ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპობ.

თხვევით დაინახავდნენ, პირჯვარს იწურდნენ, დაწახვისთანავე შენდობას შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ: დაგვიფარეთ, დაგვიფარეთ, ჭალის ანგელოზებო.

ზოგი ბედნიერი იმათ მწყემს ბიჭსაც მოკრავდა ხოლმე თვალს. ზოგი ნაკვალევს წააწყდებოდა. ახალმოსულ თოვლზე, ირმების ნაწლიქარს შორის, მკრთალად ეტყობოდა ბიჭის ნავალი. მკრთალად ეტყობოდა, თითქოს ჩიტის სიმძიმეც კი არ ჰქონდა.

გახაფხულის პირზე, ანგელოზთაღამე რომ დადგებოდა, რამდენიმე მორწმუნე ქალი ხავიწის პატარა კვერებს გამოაცხობდა; დასდებდნენ პატარა შოთებზე, ზედ ასევე პატარა ხანთლებს დაანთებდნენ და არავგის გაღმა, მურყინიან ჭალაში დაუტოვებდნენ ირმების მწყემსს.

ეს, რა თქმა უნდა, დამით ხდებოდა, და თუ შეესწავროდი, ისე იყო ხანთლების შუქით განათებული დაბურული ჭალა, იტყობი, რაც კი რამ ცაზე ვარსკვლავებია, აქ ჩამოსულან და მურყნებში შორის ჩამომსხდარანო.

წლიდან წლამდე ჰემარობდა ირმების მწყემსს შესაწირი. წლიდან წლამდე მძღარი იყო მისი გული. მარტო ერთი დარდი ჰქონდა: ხად, როდის და რომელ ველზე მოემოვებინა თავისი ირმებისათვის მწვანე ბალახი. ჰყარაულობდა, რომ მგელი არსაიდან წამოჰპარვოდათ.

ზამთრობით უფრო ჭირდა. თუმცა ზამთრობითაც უხვად ჰქონდათ ირმებს ნეკერი. იღბლიანი და ბარაქიანი ჭალა იყო.

ირმებს რატომღაც არ უნდებოდათ შვილი. იმათთვის ბიჭი იყო შვილიც და პატრონიც. ჩაიწვენდნენ დამდამობით შუაში და ათბობდნენ ჭალა ისე დაბურული იყო, ზაფხულობითაც კი ვერ აღწევდა შიგ მზის სხივები.

ერთ ღამეს იდგნენ შუა ველზე ირმები და ჩუქულებრივზე უფრო გარინდებულნი შეჰყურებდნენ ანანურს.

არც ბიჭი უკრავდა საღამურს. ისიც მოწყენილი ჩანდა.

ველესიაც ვეღარ იღვა ძველებურად. გუშინს აქეთ მის ზემოთ მიწასა თხრინდნენ, აფუტქებდნენ. გუშინ ჭალის ჭაჩეხვაც დაიწყეს.

რაღაც ხდებოდა. მაგრამ რა? ირმებმა არ იცოდნენ.

განუწყვეტილად მიმოდიოდნენ მანქანები. არავგს ხან ჭალის ერთ მხარეს გადაუდგებდნენ, ხან მეორე მხარეს. მოჭრილ ხეებს მანქა-

ნახე აწყობდნენ და სადღაც მიჰქონდა. აიკეთა აქეთა მხრიდან იქეთ რომ გადაუდგებდნენ, სადინარში უწყლოდ დარჩენილი თევზები იყვნენ თხალელებნი.

ირმების მწყემსი ბიჭი შუუსვენებლივ დარბოდა ასეთ დროს. წყლისაკენ მიარბენინებდა აფართხალეულ თევზებს. ირმები იდგნენ და უყურებდნენ.

ორ კვირაში განახვრდა ჭალა. ერთ თვეში თითქმის აღარაფერი აღარ დარჩა. მხოლოდ აქა-იქ იყო ბლუჯა-ბლუჯად რამდენიმე მურყანი.


ირმებმა და ბიჭმა მუხიანებს შეაფარეს თავი. აქ კი ყველა სამტროდ მიესია. ღორებიც კი მათ ეტანებოდნენ.

ირმები მოწყენით ჩაჰყურებდნენ ჭალაში შემორჩენილ მურყნებს. დამდამობით ჩადიოდნენ და იქ იძინებდნენ.

შემოდგომა იყო. თბილოდა.

თოვდა. ისე ხევიანად თოვდა, თითქოს ღმერთს ზეცის ყველა კარი გაეღო. ერთ ღამეში ისეთი თოვლი მოვიდა, სიარული გაუჭირდათ ირმებს. ბარისკენ ჩაიწიეს. ვინვალს მიაშურეს.





იქ უკვე აღარავინ ცხობრობდა შორიდან მოსული მუშების გარდა. მიტოვებული სახლებიდან შიში იშხირებოდა.

ჩამოწვა ნისლი. უფრო უმატა თოვამ. მწყემსმა ბიჭმა კვალი დაკარგა. ველარ დაინახა საით წავიდნენ ირმები. თვითონ ანანურისაკენ აუკვა მდინარის ნაპირს.

თოვდა. ისეთი თოვლი იდო, ღამის იყო, დამხრჩვალცივნი ირმები.

ხადღაც სინათლე ჩანდა. იქით მიაშურეს. ძლივს მიარღვედნენ თოვლს. ერთი რომ დაიღლებოდა, მეორე მიდიოდა წინ. ყვიროდნენ, პატრონს ეძახდნენ. პატრონს მათი ხმა არ ესმოდა, ზემოთ მიუყვებოდა მდინარის ნაპირს.

ირმებმა შეუქთან მიაღწიეს. შეპლრიალა ჯერ ერთმა, მეორე მეორემ. მუშათა საცხოვრებელი ვაკონიდან არავინ შეხმანებია მათ.

— უიმევე! — უფრო ხმაძაღდა შეპყვრა ირემმა.

— კტო ტამ? — მოისმა შიგნიდან. ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა. მეორე ვაკონის კარი გაიღო და იქიდან შინლიანი კაცი გამოვიდა. შეკრთა ირმების დანახვაზე. უცებ შეპ-

რუნდა და კარი მოიხურა. ირმები იღვანენ და გარინდებულნი შეპყვრებდნენ ვაკონიდან მომერთალ სინათლეს.

არ გასულა ხუთი წუთი და ისევ ვაკონიდან გამოვიდა. ახლა უფრო ფართოდ, ოღონდ კაცი აღარ გამოჩენილა. მხოლოდ თოვის ხმა და ცეცხლი გამოკრთა, ჯერ ერთხელ, ახლა მეორედ.

ირმები უხმაუროდ მიესვენენ თოვლში. თოვდა. ხუთ წუთში ყველანაირ კვალს ფარავდა.

მწყემსი ბიჭი ახლა უკვე ქვემოთ მიუყვებოდა მდინარის ნაპირს. ტიროდა პატარა ბიჭი. სინათლეს მოჰკრა თვალი და ისიც იქით წავიდა. ვაკონის მოშორებით გაჩერდა და მუდარით გასძახა:

— დამბრუნეთ ჩემი ირმები!  
არავინ გამოპასუხებია მის ძახილს. ვაკონის კარიც მოხურული იყო.  
მთელ ღამეს ისმოდა ბიჭის ტირილი: — დამბრუნეთ, დამბრუნეთ ჩემი ირმები! — იძახდა გულსაკლავად.

მეორე თითქმის ყოველღამე ესმოდათ იმ ადგილას მისი ხმა. ძველ ნასოფლარში არქეოლოგებიც იძინებდნენ ხანდახან და მათაც გაიგონეს ეს ხმა, მაგრამ მათთვის საიდუმლოდ დარჩა ვინ იყო, ირმებს რომ თხოულობდა, ან ვის სთხოვდა, ან ვინ იყო ასე გულქვა, ბიჭის მუდარას რომ ჯიუტი დუმილით ხვდებოდა. ირმებ იმ ვიდაცამ ქართული არ იცოდა. დამე ემატებოდა დამეს არაგვის ხეობაში.

თოვლი დნებოდა. არაგვის მთებს შორის გასასვლელი აღარ ქონდა. დატბორილი წყლით ნელ-ნელა იფარებოდა ანანურის ჭაღა.

ნელ-ნელა, აღმაინი ირმე წყალში იძირება და მშველელს უხმობს, ასეთი განწირული ხმა გაუგონიათ არქეოლოგებს ბოლოს: — დამბრუნეთ, დამბრუნეთ ჩემი ირმები!

ეს ალბათ ის პატარა ბიჭი იყო, რომელიც ახლად დატბორილ არაგვის წყალში იძირებოდა.

ახლა თუ გავივლით იმ ადგილას, მრუშე სიჩუმეა, მხოლოდ ზღვა ჩანს, ხეობიდან ხეობაში ზღაზღვნით მოარული.

რამდენჯერაც ამ ადგილს ჩავუვლი და ეს ამბავი გამახსენდება, გული მტკივა და სულის სიდრმიდან ირემი ყვირის...

და ალბათ ყოველი ქართველის გულის-გულში ჩურჩულებს პატარა ბიჭი: დამბრუნეთ, დამბრუნეთ ჩემი ირმები!



# ზამთარი

მზია ჩხატინი



თოვლი მოვიდა ღუნღუნა,  
ააუსო მთაც და მინდორიც,  
ბუსარმა დაიღუღუნა:  
ზამთარო,  
მოხველ მშვიდობით!  
ხან ზვარი ბარდნე ნართუღუვი,  
ხან ხევში ჩაიბუსუნე,  
შენა თქვი შენი სათქმელი,  
მე ჩემსას დავაგუგუნებ.  
იუოს ღრჭიალი,  
ჭანჭანი  
გარეთ თოვლის და ვინებისა,  
შეშომანვიე ძაღსასი  
გოგო-ბიჭები კისკისა,  
შენ კიდევ სათქმელს მოღუქი,



მხატვარი მანანა შორაჩილაძე



მონატე თეთრი ზღაპრითა,  
მე ვაჭხე ვიტევი, ოღენდაც  
შხისკენ რამით რომ გაფრინდა.  
წელიც მომკვარე ახალი  
ბარაქით, უფლის ძაღლითა,  
ამიუსე ბეღელ-მარანი  
ჰურ-ხორცით, ღვინით, თაღლითა.  
სათარეშოდ და სამღურად  
დაგრჩეს ტევე,  
ჭალა, ქარაფი,  
მე გარს მომიხსნი საღუნენად  
ჩემი ალაღი ჯაღაბი.  
თოვლი მოვიდა ღუნღუნა,  
ააუსო მთაც და მინდორიც,  
ბუსარმა დაიღუღუნა:  
— ზამთარო, მოხველ მშვიდობით!



## ბივი პაპაქორი

როგორ წერს აპაკი. რაზე წერს. სერბები მისი.

აპაკი ლექსს თურმე ჩურჩულთ წერდა... ჩურჩულთ თუ სიმღერით...

ბევრი მოგონება არსებობს ამის შესახებ.

აპაკის ერთი მეგობარი, არისტო ქუთათელაძე ერთხელ ქუთაისში, სასტუმროში აპაკისთან დამესათვეს და ჩურჩული გამოადვიმებს. ხედვს, აპაკი ოთახში დიდის და ჩურჩულებს. არისტო თავს მოიმძინარებს. ბოლოს აპაკი ჩურჩულს მორჩება და არისტოს გადმოსძახებს: „არისტო, არისტო, ადექი მალე და დაწერეო!“ აპაკი უკარნახებს და არისტო ქაღალდზე გულისფანქვალთ ვადაიტანს ლექსს „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა...“

ერთხელ თურმე აპაკი დამით ნათესავის ოჯახში დარჩა. ნუცა ბაგრატიონი-წერეთლისა იგონებს, მეორე დღეს, აპაკი შუადღისას წამოწოლილი იყო, კარი დახურული ჰქონდა და დიდინებდაო. მე ძალიან გამიკვირდა, რადგან არასდროს მისი სიმღერა არ გამიგონია. მერე ვკითხე: რა ამბავი იყო, რომ მღეროდი-მეთქი. მითხრა: ჩემს დღეში არც ერთი ლექსი არ დამიწერია, სანამ არ ვიმღერებო. ჯერ ვიმღერებ და მერე დაწერ, ამისთანა ჩვეულება მაქვსო.

არსებობს წერეთლების ერთი ნათესავის ნაამბობი: ერთ დღიას მე და ჩემი ბი-

ძაშვილი ტყეში სანადიროდ მივდიოდით. აპაკის სახლს რომ მივუახლოვდით, მამიდა ანა გამოგვეკება, „ბიჭებო, ღმერთი არ გაიწყრო, თოვთ არ ისროლოთ, ბიძია ლექსს წერსო!“ „მამიდა, ოღონდ დავგანახვე, ბიძია რომ წერს, დღეს კი არა, მთელ კვირას აღარ ვინადირებთო“, — ვუთხარი. მამიდამ შეგვიყვანა თავის ოთახში. ბიძიას ოთახის კარი გამოღებული ჰქონდა, ოთახში თმაბურძნული, აღლვებული დადიოდა და დიდინებდა. ჩაიღვინებდა, შემდეგ ჩამოჯდებოდა, ცოტას დაწერდა და წაიკითხავდა, შემდეგ ისევ სიარულსა და სიმღერას მოჰყვებოდა. ისევ ჩამოჯდებოდა და დაწერდა.

გამოჩენილი ქართველი შწერლის გრიგოლ რობაქიძის მოგონება ასეთი: სასტუმროში, ჩემს გვერდით,

მომესმა ერთხელ აპაკის სიმღერის მსგავსი საუბარი. ამ საუბარში ნამდვილ სიტყვას ვერ გავარჩევდი: ეს იყო თითქოს დინი, უსიტვე სიმღერა. შემდეგ შევიტყვე, რომ აპაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა...

რაზე წერდა ამ დროს აპაკი?

რა სატიკივარი აწუხებდა?

მისი სატიკივარი და სადარღებელი იყო ისევ და ისევ სამშობლო, რომელიც ოდესღაც მშვენიერი, დღეს კი თავზე ლეჩაქხელი, სნეული სატროს სახით მოვიდა აპაკის ლექსში. ლექსიდან ლექსში გადადის ამიერიდან სახე სატროს-სამშობლოსი, რომელიც გააძევრა მოყვარეს მოუხიბლავს და, მისი გადაძვივ, ჭინჭარში ვარდება — იქია და ვარდი ჭონია. პოეტი აფრთხილებს მას: გაუფრთხილდი, ნუ გჯერა,





ქმა. მაშინ ერთ-ერთი ვაჭარი იჯექვს გააკეთებს, მერე კი სიცილით იტყვიან, რომ უღვაში ვერ არც კი შეტყობა, ხელი როგორ გადავისვაო? მასპინძელი უპასუხებს: „ვისაც უღვაში სწამს, ის არც საულღავს უღალატებსო!“ და ხელს გადაასმევინებს.

მთელი წელი ელოდება როსტომი თავის ფრანგებს, მაგრამ ისინი არ გამოჩნდებიან. ვისაც შავი ქვა აქვს, დამუშავებას დაიწყებენ, როსტომი და აკაკი კი ბორღოლებს ელოდებიან. ერთ-ხელ აკაკის უფროსი ძმა, დავითი, მამას ეტყვის: შავი ქვით ქვეყანა გაკეთდა, ჩვენ კი ფრანგებს ველოდებით, ფრანგებს გერმანელებთან ომი ჰქონდათ, იქნებ ჩვენი ფრანგები ომშიც დაიხიციანო! როსტომი უპასუხებს: „უთუოდ ასე იქნება, თორემ პირობას არ გადავიდოდნენ, ამიტომ პირს მით უფრო ვერ გავტყობთ. იმ კაცს თავის ქვეყნისათვის თავი დაუღვია და საიქიოს რა პირით უნდა შევხვდეთ?“ მერე იკითხავს: იმ ქვეყნის კანონით მათი მემკვიდრეები ხომ შეილები არიან და მოვალეობა ხომ შეილებზე გადადის, მე ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ გაიზრდებიანო. ამას იტყვის და გაათავებს. მას შემდეგ რამდენიმე წელიწადს კიდევ იცოცხლებს და ვინც არ უნდა მოვიდეს მასთან შავი ქვის თაობაზე, ვეღას ეუბნება: „საქმე სხვასთან მაქვს დაჭერილი“. სიკვდილის წინ კი აკაკის სიტყვას ჩამოართმევს, სანამ ობლები არ

მაგის ტკბილი ნაწინაო, და იმედს აძლევს, შენს დასახსნელად ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მოეშურებიანო... სატრფოს დახსნის იმედი აკაკის ბოლომდე გაჰყვება...

აკაკის ლექსები და ფელეტონები ხშირად იბეჭდება სერგეი მესხის გაზეთ „დროებაში“. აკაკის და „დროების“ რედაქტორს ახლო მეგობრობა აკავშირებთ. სტუმრად მყოფ აკაკის კვლე მესხი ეტყვის ხოლმე, აქ ისეთი მუდროებაა, უთუოდ რამე უნდა დაგვიწეროთ. აკაკი თანხმდება. კვლე და სერგეი სარედაქციო ოთახში გავლენ და კარს გამოიხურავენ. პატარა ხანში ესმით, რომ აკაკი ოთახში დიდის და ზეპირად რაღაცას იმეორებს. ერთი საათიც არ გაივლის, რომ მას ახალი ნაწარმოები გამოაქვს.

ანუ მარგანეცის დამუშავებაზე საუბარს ჩვენი პირველად აკაკი წერეთელი წამოიწყებს და პირველ ნიმუშებსაც რუსეთსა და ევროპაში ის გაავაზვნის. შავ ქვასთან დაკავშირებული აკაკის მამის, როსტომ წერეთლის ერთი უცნაურობა.

ერთხელ წერეთლებს ფრანგი ვაჭრები ესტუმრებიან ქალაქ ბორღოდან, შავ ქვას დათვალაიერებენ და წერეთლებთან მოისვენებენ. წასვლას რომ დააპირებენ, აკაკის სთხოვენ, მამაშენმა, რაკი მამულების პატრონი ვე არის, პირობა მოგვცეს, რომ წლამდე შავი ქვის მღანას სხვას არ გადასცემს დასამუშავებლად. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ დავბრუნდებით, მაშინ პირობა ძალას დაკარგავსო. საქმე ხელშეკრულებაზე რომ მიდგება, როსტომი იტყვის: ვნ რა საჭიროა? მე ჩემს სიტყვას არ გადავადო, და უღვაშებზე ხელს გადაისვამს. აკაკი სტუმრებს აუხსნის, რომ უღვაშებზე დაფიცება, ძველი წესით, დიდი აღი-

აბაძი და მარგანეცი.  
წერეთლების შრანბი  
სტუმრები

ჭიათურის ქვეყნის,



დაიზრდებიან, შავ ქვას ნუ-  
რავის გადასცემო!

### ილია ღაბაძე

ილია და აკაკი ახალ-  
გაზრდობიდანვე საქვეყნო  
საქმეში ერთმანეთს მხარში  
უდგანან, ორივეს ერთი ოც-  
ნება აქვს — სამშობლოს  
თავისუფლება.

როცა 1879 წელს შექმ-  
ნილი ქართული თეატრის  
მუდმივი დასი დაიშლება,  
ილია აკაკისთან მივა და  
ერთვით:

— კაცო, ეს თეატრი რომ  
აღარა გვაქვს, შენ რას იტყ-  
ვი; როგორც იქნა, ხალხი  
თეატრს მივანვიეთ და ისევე  
ხომ არ უნდა გადავაფიწყო-  
თო. მოდი, შენ ითავე, დროე-  
ბით საღმრე სცენა გავმარ-  
თოთ... რაფიელ ერისთავი  
და იონა მუნარგიაც დაგეხ-  
მარებიან, ჯამბურის კი მე  
გადავუხდი მსახიობებსო.  
აკაკიც იკისრებს დასის  
ხელმძღვანელობას, შენო-  
ბას იშოვის და აქამქვს ვარა-  
ცებით შეუდგება, რადგან  
იცის, რა შეუძლია ქართულ  
თეატრს. თეატრის სცენი-  
დან ქართველები დედაენას  
გაიგონებენ, იმ ენას, რო-  
მილხუდაც რუსთაველი მუ-  
სიკობდა, თამარი მბრძანებ-  
ლობდა და რომელიც ახლა  
ასე დამცირებულია; „თეატ-  
რის წყალობით შეგვიძლია  
გავისხენოთ ჩვენი წარსუ-  
ლი, დავინახოთ აწმყო და  
წარმოვიდგინოთ მომავა-  
ლიო“, ამბობს აკაკი.

1882 წელს აკაკი კახეთ-  
ში იმოგზაურებს და თელავ-  
ში ადგილობრივი მოწინავე  
სახოგადოება სადილს რომ  
გაუმართავს, იტყვის: ჩვენს  
სამშობლოში ფეხს ვერსად

დავვადგამო, რომ ჩვენი წი-  
ნაბრების ძვლებით ვაპო-  
ხიერებული და მათი სისხ-  
ლით დამბალი არ იყოს.  
პირში ლუკმას ვერ ჩავი-  
დებთ, რომ ჩვენი მამა-პაპის  
ნაწილი არ ჩავგვევს... ეს  
ლუკმა და წვეთი წინაპართა  
ღვაწლს უნდა გვაგონებდეს  
და ჩვენც იმავე გზით მივ-  
დიოდეთ, რა გზითაც მათ  
უვლიათ, ოღონდ დღევანდე-  
ლი დროების შესაფერისად,  
რადგან დღეს უფარხმად  
ბრძოლაა, საღაც სისხლის  
ნაცვლად პატიოსანი ოფლი  
და ცრემლი უნდა იღვრებო-  
დეს... კახელები მუდამ მო-  
წინავე რაზმში ყოფილან და  
ჩვენს დროშიც მეთაური და  
მოწინავე თქვენი შვილი,  
ილია ჭავჭავაძეაო.

თავის მხრივ ილია ასე  
გამოეხმაურება აკაკის სიტყ-  
ვას: აკაკიმ რომ თელავში  
სიტყვა წარმოთქვა, ამაზე  
მშვენიერი სიტყვა ქართულ  
ენაზე ჩვენ არ ვახსოვს...  
„ღმერთმა ჰქნას, შენისთანე-  
ბი მომავალშიც ბევრი გვეყო-  
ლოდესო“, უთქვამთ ბატონ  
აკაკისათვის: „ღმერთმა ნუ  
გამამართლოს ვე თქვენი  
სიტყვაო, — უპასუხნია აკა-  
კის: — რასაც დღეს ვჯერდე-

ბით, ის ხვალ საკმაოდ არის  
ხოლმეო“. დიხ, ვა-  
ლინდელი დღევანდელს...  
მერმისი აწინდელს...  
სჯობდეს. აკაკისა არ იყოს,  
ნუ ვიკმარებთ იმას, რაც  
დღეს არის. გაუმარჯოს იმ  
შვილს, რომელიც ქვეყნის  
სამსახურში მამას აჯობებს  
და რომელიც ჩვენს საყვა-  
რელ სამშობლოს ასე ეჭირ-  
ვება.


ილიას ყველაზე უწინ  
აკაკი გაახსენდება 1885  
წელს, როცა მთავრობა  
„დროებას“ დახურავს და  
ქართველი შწერლები „ივე-  
რიის“ ვარშემო შემოიკრი-  
ბებიან. ილია ქართველ  
მწერლებს ბართებს დაუგ-  
ზავს და სთხოვს, მის  
ახალ ვაზეთში ითანამ-  
შრომლონ, ხოლო აკაკის  
მისწერს: სხვებს რომ გა-  
ვუგზავნე, ისეთი ბარათი,  
ვერ გავკადნიერდი და ვერ  
მოგართვი, რადგან ისინი  
სხვანი არიან და შენ ერ-  
თადერთი აკაკი ხარო. სა-  
კუთარი სურვილის გარდა  
მამულიშვილის მოვალეო-  
ბამ მიიძულა ჩვენი ქვეყნის  
რჩეულისათვის გამოჩნეუ-  
ლი, განსაკუთრებული წე-  
რილი მომერთობა და მეთ-  
ხოვნა, ჩვენი ვაზეთი შენი  
ნიჭის ნაშუქით დაამშვენო.

აკაკიც მაშინვე გაუგზავ-  
ნის ილიას ფელეტონს, რო-  
მელიც თავდება ლექსით  
„ხარაბუხა ფურკარის შებე-  
და“, და ამის შემდეგ „ივე-  
რიამი“ მუდმივად ითანამ-  
შრომლებს.

ზაქარია ჭიჭინაძე გა-  
მოვეცემს, რომ ილია ჭავ-  
ჭავაძის „ივერიის“ რედაქ-  
ციის დარბაზს აკაკის დიდი  
სურათიც ამშვენებდა.



შავ. სსრ კ. შარტის  
სახ. საბ. რესპუბლ.  
ბ. გ. ლ. ო. ტ. ო. მ. მ. მ.



ნებიან ეს სურათები?

დახედეთ პირველ სურათს. მასზე საქართველოს ფერადოვანი პეიზაჟის ფონზე მხატვარს თავისი დედა პაპის დახატული წიგნი, ქართველები, სამშობლოს დედა-სამშობლოს ვეძახით, «დედასა» და «სამშობლოს» ცნებები გათანაბრებული ვეძიებს ერთმანეთთან. ამ აზრს დავით კაკაბაძე სახეითი ხელოვნების ენაზე გადმოვცემს — იგი ტილოს მთელ სიერცეზე გამოსახავს ხელსაქმეში გართული დედის პორტრეტს, ხოლო სურათის უკანა პლანზე, ახვევ მთელ სიერცეზე, მოჩანს საქართველოს უმშვენიერესი კუთხის — იმერეთის ბუნება.

აი, როგორ გამოთქვამს მხატვარი ამ გასაოცარი სიტყვის «დედა-სამშობლოს» ღრმა აზრს.

ახლა ვნახთ მეორე სურათი — «მიტინგი». აქაც ერთად არიან წარმოდგენილი ადამიანი და გარემო. მაგრამ ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით და ბელადის პორტრეტებით შეიარაღებული მომიტინგეები პაწაწკინტელებად არიან გამოსახულნი ციად აზიდული ვეება მთების ფონზე. რისი თქმა უნდა ამით მხატვარს? მას სურს დაგვანახოს, რომ ეს ადამიანები პატარები არიან თავიანთი მიზნებითა და მიდრეკილებებით, საქართველოს ბუმბერაზი მთები კი — მარადიულნი, და რომ ეს პატარა ადამიანები ვერაფერს დააკლებენ დაიდ მთებს და საქართველოს მარადიულ ოცნებებს.

აი, რა საიდუმლოებანი შეიძლება იყოს წადებული ერთი შეხედვით უტყვესა და მღუმარ ნახატებში.

ბავშვებო, ალბათ გაგიგონათ დიდი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის სახელი. დავით კაკაბაძე არ ხდებოდა გარემომცველი სამყაროს დიდი მხატვრული ოსტატობით ასახვას. თავის ნამუშევრებში ის ღრმა, იდუმალ აზრებსაც სდებდა. სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა გაგაცნოთ მისი ორი ნაწარმოები: «დედაჩემი — იმერეთი» და «მიტინგი». რას გვეუბ-





## შემთხვევითა ბავშვი კალანა

ანა კალანაძე

მხატვარი ზაურ ლეინაძე

და მე ვიგონებ ჩანლართულ ღობეს,  
სერებს თოვლიანს...  
ნმობდა ქათამი გურიის სოფელს,  
უფდა თოლია...  
იგბ ბერმუნა ღამისმთევარი  
თოვლში ნაბითა...  
ღილით მისდევდა სერზე მწვევარი  
ნაკლევს ნადირთა...  
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით  
გრძნეულ მარანთან...  
შემოდოდა ჩიჩილაკებით  
ჩვენში კალანდა...





**ნაძვი ყველგან არ ხაკობს,  
 ანუ სარ  
 კოლის და კოზორ ხვდებიან  
 ახალ წელს**

**იოსებ ჭუმბურიძე**

დადგა ახალი წელი — 1990, და თქვენ ყველანი უსათუოდ დიდი სიხარულით შეეგებეთ მას.

— ეს იყო 1 იანვარს... მაგრამ იცით თუ არა, რომ ახალი წელი ყველგან პირველ იანვარს არ დგება!

ბირმაში ახალი წელი დგება აპრილში, როცა ხანგრძლივი წვიმების პერიოდი მთავრდება;

ვიეტნამში — ადრე გაზაფხულზე; სირიაში — 1 სექტემბერს; ირანში — 22 მარტს.

ახალი წელი ზოგიერთი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილშიც კი სხვადასხვა დროს იწყება. მაგალითად, ეთიოპიაში — ზოგან 10, ზოგან კი 11 სექტემბერს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ინდოეთი: ამ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ახალი წელი სხვადასხვა დროს დგება.

ჩინეთში კი ახალი წლის პირველი დღე მკაფიოდ განსაზღვრულიც კი არ არის. იქაურ მცენიერთა აზრით, ახალი წელი დგება ერთ-ერთ დღეს 22 იანვრიდან 18 თებერვლამდე.

არსებობს ასეთი ხალხი — ესკიმოსები. მათი რწმენით, ახალი წელი მაშინ დგება, როცა პირველი თოვლი მოვა. აღბათ დამეთანხმებით, რომ საკმაოდ საინტერესო რწმენაა, მაგრამ ვინ იცის, ზოგჯერ რამდენი ხნით დაგვიანებდა ახალი წელი ჩვენთან. საქართველოში, ჩვენც პირველ თოვლს რომ ველოდებოდეთ.

ბარემ აქვე ვთქვათ: საქართველოში X საუკუნიდან ეკლესია ახალი წლის დასაწყისად 1 სექტემბერს თვლიდა, 1 იანვარი კი ახალი წლის საერო დღესასწაული იყო. მოგვიანებით ეს ორი დღესასწაული შეერთდა და იმ დღიდან ახალ წელს ერიც და ბერიც 1 იანვარს ხვდება.

რუსეთშიც ახალი წლის დასაწყისი 1 სექტემბერი იყო. მხოლოდ 1700 წლიდან, პეტრე პირველის ბრძანებით იქცა პირველი იანვარი წლიწადის პირველ დღედ.

დადგა 1990 წელი და თქვენ ყველანი უსათუოდ ლამაზად მორთულ ნაძვის ხესთან შეეგებეთ მას. ახალი წელი ხომ წარმოუდგენელია სხვანაირად.

საახალწლო ნაძვის ხის მორთვის ჩვეულება გერმანიიდან მოდის. ძველ გერმანელებს სწამდათ, რომ ნაძვიში ცხოვრობს ტყის კეთილი სული, რომელიც ყველა მცენარეს, ნადირს და ფრინველს იცავს; რომ, აქედან გამომდინარე, ნაძვის ხეს ჩვენს სახლებშიც სიკეთე და ბედნიერება შემოაქვს, ყოველივე ავისაგან გვიცავს.

მაგრამ ნაძვი ყველა ქვეყანაში როდი ხარობს! ამიტომ ასეთ ქვეყნებში მას იქაური მცენარეებით ცვლიან. მაგალითად, ვიეტნამში ახალ წელს ატიშის ხის ტოტებით ხვდებიან, იაპონიაში — ბამბუკის ღეროებით და ანანასის ტოტებით, რადგან ბამბუკი დღეგრძელობის სიმბოლოა, ანანა-

სი კი — წარმატების.

დადგა 1990 წელი და დილით სასთუმალთან ყველას თოვლის ბაბუას მოტანილი ნაირ-ნაირი საჩუქრები დაგვდათ. ამას ხომ ყველანი შეჩვეულნი ხართ! მაგრამ იცით, რომ პირველად თოვლის ბაბუა ორი ათასი, დიას, ორი ათასი წლის წინათ გაჩნდა. გადმოცემის მიხედვით, იგი ჩრდილოეთ ფინეთში, ლაპლანდიის მთებში ცხოვრობს. ამიტომ ყოველი ახალი წლის მოახლოებისას ლაპლანდიაში უამრავი წერილი მიდის — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები სწერენ თოვლის ბაბუას, სთხოვენ სტუმრად ეწვიოს მათ და საჩუქრები ჩაუტანოს. იმდენი ასეთი წერილი მიდის თოვლის ბაბუას მისამართით, რომ ახალი წლის მოახლოებისას მათ მისაღებად დამატებით საფოსტო ბიუროს ხსნიან.

დადგა 1990 წელი და ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად შეხვდნენ მას. საახალწლოდ ხომ ყველას თავისი საინტერესო წეს-ჩვეულებები აქვს!

თქვენ იცით, რომ ქართველები ახალ წელს თოფის სროლით ეგებებიან — ამით ავ სულს აფრთხობენ.

ესპანეთში ავ სულებს ზღას სხვანაირად უღობავენ — მახეებსა და ხაფანგებს უდგამენ.

ირანში საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს შვიდნაირი კერძი. იქაური რწმენით, უამისოდ ახალ წელიწადს არ იქნება ბედნიერება;

იაპონიაში საახალწლოდ ყველა ცდილობს ვალის გასტუმრებას;

თურქეთში ახალი წლის ღამეს ცოტა ხნით ქრება შუქი და ოჯახის წევრები ერთმანეთს კოცნიან. სუფრაზე 30-40 სახის კერძი უნდა იდგეს.

იტალიაში ახალწლის ღამეს ფანჯრიდან ქუჩაში ურიან ძველ ჭამ-ჭურჭელს, რომ ახალ წელს დოვლათი ექნეთ.

უნგრეთში ახალ წელს არ კამენ ფრინველის ხორცს, რათა ბედნიერება ხელიდან არ გაუფრინდეთ.

რუმინეთში ამზადებენ ღვეზელებს, რომლებშიც დებენ ხურდაფულს და ბეჭედს. იქაურთა რწმენით, ეს მომავალი სიუხვის სიმბოლოა.

ძალიან საინტერესო ჩვეულება აქვთ განაში. კარგი იქნება, თუ ამას თქვენც გადმოიღებთ და თქვენს ახლობლებსაც ურჩევთ: საახალწლოდ ყველა წაჩხუბებული უნდა შერაიგდეს.



# წელიწადი

## ცირა ქიტიაშვილი

ფიფქი ისე ცვივა ციდან, თითქო დვეი გვაურის მუჭით, შაქრო როგორ მოიცდიდა, დადის თოვლში ჭრაჭარაშუქით. ახალი წლის ღამე დგება, აბა, სახლში როგორ გაძლებს, აუუყვება, ხაუუყვება შიშით ათროლებულ ნაძვებს. ვინ გაბედავს, ვინ გაბედავს, რომ შეახოს მტრულად ხელი. ხეებია ტუის მშვენება, შააა შაქრო — მათი მცველი. ტოტზე ციფვი გამოხტება, მეგობარს და შატრონს აქებს, სახეიმოდ აქლარუნებს ეინვის ფაქის სანსალაქებს. ფიფქი ცვივა, ცვივა ციდან, თითქო დვეი გვაურის მუჭით, შაქრო როგორ მოიცდიდა, დადის ტუქში ჭრაჭარაშუქით.



მხატვარი ვიორაზი როინიშვილი





## კაჭარა ჰქონ აბჯანი

ღალილა ბალინიძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ქარი. ქარი დიდ ტყეში ცხოვრობდა და ჰეი ერქვა. ჰეი, როგორც ყველა ბავშვი, ცელქი და მოუსვენარი იყო და მთელი დღე აქეთ-იქით დაქროდა, დაჰკარავდა ფრთას და ტყის ბოლოდან თავში გვარდებოდა. მთელ ტყეს ძალიან უყვარდა ჰეი, რადგან კეთილი და მხიარული ქარი იყო. ჩამოყვლილია ხეებს, აამდერებდა, ააცეკვებდა; ძირს ჩამოყრილ ხმელ ფოთლებს და ყვავილებს, მარტო რომ არ დარჩენილიყვნენ, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლასა და თავშეყრაში ეხმარებოდა. ცხოველებსაც დაუზარებლად ემსახურებოდა, ვინმეს ხმას თუ სურნელებას შორიდანვე გადასცემდა; თუ ვინმესთან რამეს დააბარებდნენ, მაშინ ხომ შეუდარებელი იყო! ჰეის ბოროტი ცხოველები არ უყვარდა. თუ სადმე მგელს, დათვის ან მწხვანა ტურას დაინახავდა, მაშინვე ან სუნს წაართმევდა და ტყეს მოჰყენდა, ან ხმას გაუვრცელებდა, ან ბალახებს და ბუჩქებს

მისწვე-მისწვედა, რომ უწყინარ კურდღლებთან, შუღლებთან და სტუმრად მოსულ ბეკეტებთან მალეით მიპარვა ვერ მოეხერხებოდა. ბოროტი ფრინველები უყვარდა ჰეის ტყე ხშირ-ხშირად გადაუქროლებდა ხოლმე, რომ დაენახა, რომელიმე ჩიტუნას საფრთხე ხომ არ ემუქრებო. პაწაწინა მელაკუდები, ბაჭიები, დათვის ბელები და მგლის ლეკვნიები კი ძალიან უყვარდა; განსაკუთრებით ციფუნებითან მგეობრობდა, ერთი ტოტიდან მეორეზე გადასკუპებისას კუდებს აუფრთხილებდა და ფრთასაც წაახმარებდა ხოლმე, ძირს არ ჩამოცვივდნენო.

ერთხელაც ჩვენი ჰეი ციფუნებს დაჭერობანას ეთამაშებოდა. ერთი ნაძვიდან მეორის კენწეროსაკენ ისე მონდომებით გაიჭრა, რომ ვერ მზობო, თავბრუ დაესხა და ძირს ჩამოვარდა. იქ პირგაღვილი სიბიძ ქვა იყო მიწიდან ამოშვერილი. ჰეი სწორედ ამ ქვას დაასკდა, ფრთა მოიტეხა და ტკივილისაგან გული წაუვიდა. ციფუნების ვეონათ, ჰეი გვეთამაშებო და ჯერ ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ მერე ფეხზე რომ არ წამოდგა მათი მგეობარი, ნაძვის ძირს ჩახტნენ და ჰეის ირგვლივ შემოსკუპდნენ. ჰეი თვალდახუჭული იწვა.

— ჰეი, რა მოგივიდა, ჰეი! — აწოჩქოლდნენ ციფუნები, მერე კუდებით ერთი კარგად დაუნიავეს. ჰეიმ, როგორც იქნა, თვალი გაახილა და დაიკვნესა.

— რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ? — აწრიადლდნენ ციფუნები და თათებით ცრემლების წმენდა დაიწყეს.

— მოდი, ჰეის დედას დავეუბახოთ, — თქვა ერთმა.

ციფუნები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და მთელ ტყეს მოსდეს ჰეის ავადმყოფობის ამბავი. ბალახმა ბუჩქს გადასახა, ბუჩქმა — ხეს, ერთმა ხემ — მეორე ხეს, ჩიტმა — ჩიტს, კურდღელმა — კურდღელს, მელაკუდამ — მელაკუდას და, როგორც იქნა, ამბავმა ჰეის დედამდე მიაღწია. ჰეის დედას დიდი წვიმა მოეყვანა ყანების მონარწყავად და, დალილი, მინდერის ბოლოს ისვენებდა, რომ ერთი წრწუნა მიცუნცულდა და შეატყობინა, ჰეის ფრთა აქვს ცოტათი მოტეხილიო. შემინდა ჰეის დედა და იმწამსვე მთელ ტყეს გადაუქროლა.

— ჰეიიი... ჰეი... — ეძახდა გზადაგზა — ჰეი...

ჰეის დედის ხმა შემოესმა, გამოცოცხლდა,

ცალ ფრთაზე წამოიწია და სუსტი ხმით გააგონა: — აჰ ვარ, დედა, აჰ ვარ...

გულამოვარდნილი დედაქარი მიიჭრა ჰეისთან, ხელში აიჭვანა და ასე ჩახუტებული გააქანა შინისაკენ. შეწუხებული მეგობრები უკან დაედევნენ. იმ ტყეში ქარების ექიმი არ ჰყვდათ. როცა ქარი ავად გახდებოდა, მთელ ტყეს გულით უნდა მთენფროებინა მისი გამოჯანმრთელება, თორემ ისე სულ ავად დარჩებოდა და მერე გაქრებოდა. ჰეის მოტეხილი ფრთა საცოდავად დაჰკიდებოდა და დედის მკლავებში ძლივს ფეოქავდა. დედამ იგი ახლადმოთითებულ შუქავ ბალახზე დააწვინა, თავით დაუჯდა და მიუფერა. გაღრმობ ციცინათელები შემოვხვივნენ და ახლადშედაძებულზე გაუნათეს. მიიბრინეს ჰეის მეგობრებმაც, ნაცნობებმაც, უცნობებმაც.

— მე რომ ჩხიკვა არ შემაშინოს, ვინდა გამაფრთხილებს? — დაიწვილა მელიკომ.

— მე რომ მგელი არ მომეპაროს, ვინ გამაგებინებს? — დაიჭყვიპინა ბაჭიამ.

— ჩვენ ვინდა გვეთამაშება, კუდებს ვინ აგვიფრიალებს? — ტიროდნენ ციყვუნიები.

— ე-ხე-ხე-ხე... ჩვენ ვინ გავვაშობიარულებს, ვინ დაგვალაპარაკებს ერთმანეთთან; ვინ გვაძღერებს და გავაცკვებს? — ხენეშოდნენ ბებერი ხეები.

— ჩვენ რაღა გვეშველება, ხომ დავღლით ერთ ადგილზე! — შრიალბდნენ ხმელი ფოთლები.

— ნეტავ ჰეი კარგად გახდებოდეს და ძირს აღარ ჩაუშვებთ! — ჩურჩულდნენ ნაძვების კენწეროები.

ზოგნი ჩუმად უსხდნენ ფერხითი ჰეის. ნორჩი ხეები აბუზხული კვეროდნენ დედებს. ყველა დარდიანი იყო, არც ვახშამი უნდოდათ, არც ძილი. ნატრობდნენ და ნატრობდნენ, ნეტავ ჰეი კარგად გახდებოდეს, ნეტავ ჰეის ფრთა მოურჩებოდესო! ხმადაბლა, ჩურჩულით ნატრობდნენ, რომ ხმაურით ჰეი არ შეეწუხებინათ, ზოგი უხმოდ, გულში ნატრობდა. იმდენჯერ ინატრეს, იმდენჯერ ინატრეს, ისე გულით წუხდნენ, რომ ჰეი ხელ-ნელა დამშვიდდა, ტკივილებმა უკლო, ფრთა გაუსწორდა... მალე კიდევაც ჩაეძინა.

განთიადისას ნიავე ეწვიათ — ჰეის ბიძამვილი, მიუფერა ჰეის და ცვარ-ნამი მიაპკურა. ჰეიმ თვალი გამოახილა, ერთი შეიფრთხილა

და ისე წამოფრინდა, ვითომც აქ არაფერიც სულ სიცოცხლისთვის მოიბრინეს ნიავეს და ჰეიმ. გახარებულმა ჰეის დედამ ტკიპის მადლობის სათქმელად გასწია; ჰეი უკან გაედევნა; სასაცილოდ მიკუნტროშობდა, ხან მალდა — ხის კენწეროზე ახტებოდა, ხან დაბლა — ბუჩქისა თუ ბალახის ძირისაკენ ისკუპებდა. გვერდით მისი განუყრელი მეგობრები მიჰყვებოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო: ზოგი სკუპსკუპით, ზოგი ბაჯბაჯით, ზოგი — სირბილით, ზოგი — კოტრაილით... ძალიან უხაროდათ, რომ ჰეი კვლავ მათთან იყო.

— ასეა, ყველაზე უკეთესი წამალი სიყვარულია, აბა რა გეგონათ! — იღიმებოდნენ მრავლისმნახველი ბებერი ხეები, — თუ ყველას უყვარხარ, რაღად გინდა ექიმი! — თან პატარა ჰეის აღერსიანად აუქნევდნენ ხოლმე ტოტებს, — აიტ, შე ცელქო შენა, კიდევ რამე არ იტკინო!



„აგუნა, აგუნა! აგუნა, გადმოიარე, ბახვი და ასკანა ჩაშოიარე, ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ფურცელი...“

(ხალხური)



## თავში რა ტყი თამუნა

ნანა ლეინაშაძე

სულ თამუნა, თამუნაო, —  
საუკუდურობს თაგუნაო, —  
ბედმა თქვენი მეზობლობა  
მეც ხომ წილად მარგუნაო.  
ჰოდა, სოგვერ მომეფეგრეთ  
გადმოძმანეთ აგუნაო, —  
თორემ ღამის შიშით მოკვდე  
ეს ჰატარა თაგუნაო, —  
იმ ჰატარა თამუნამაც  
ფენი დამბაკუნაო!..

რა საშიში ცხოველი ვარ,  
კატაც ჩემი მტერიაო.  
ერთი ბიჭი საფანჯს მიგებს,  
სულ მოლად გადაძერიაო.  
ცულად არის ჩემი საქმე,  
მივატოვე კერიაო.  
თქვენ რომ ქალაქს გაგისტუმრებთ,  
ელია და მელიაო, —  
მაშინ ნახეთ ჩემი ღვინი,  
ვაცხო ხორბლის კვერიაო.

ეს ამბავი ჩემგან თქმული  
არახალი, ძველიაო,  
ვისაც უნდა გააგრძელოს,  
მე დრო შემომელიაო.



# გვარობია

იოსებ მამაძე

— ბესიკ, დაგაგვიანდებო, ადექ!

— უ — უ — უ ...

— რას ზმუი, ზმუკაძე ხარ? აბა, ბესარიონ, წამოხტი, დედიკო! ამხანაგო ადგომადექ! გათენდა, ბიჭო, ქვეყანა გაკეთდა, შენ კი ლოგინში ნებვირობ! ზარმაცადექ! ზარმაცუნადექ!

— არა, მე დაწოლაძე ვარ!

— არა, შენ ადექაშვილი ხარ! ან ადგომელაშვილი!

— არ მინდა!

— არმინდაძე ხარ? თუ მინდაძე?

— ძილქუშაძე ვარ!

— მე მგონი, წამომხტარიძე უნდა იყო, გაინაზე, ხო, გაინაზე, იქნება ყალთაბანდაშვილი გამოხვიდე!

— თავბალიშქვეშაშვილი ვარ!

— სად მიძვრები, ბიჭო, ტილაძე ხარ? აბა, ტკიპაძე? მაშ სად მიძვრები საბანქვეშ? ადექი, შენი ჭირიმე შვილო, ჩემო ცუგრუმელაშვილო, არ გესმის, ხომ? არ გეშინია, რომ გაბრაზებოძე გავხდები?

— არა, მე ბაყბაყდევაშვილი ვარ!

— თუ გუდაფშუტაძე? არა, ბაყაყაძე ხარ, რას დახტი აქეთ-იქით? ჭყანაშვილიც გახდი? აი, შე დარდუბალაძე, შენა!

— მშიაძე ვარ!

— მე კიდევ არმოცემაძე! თუ გინდა, კუჭიძლომიაშვილი გახდე, წამოხტი საჩქაროდ. აბა, ცქვიტაძე! აი, ახე!

— მე მინდა, ღორმუცელაძე ვიყო!

— კარგი რამეც მოგინდომებია! კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ მანამდე ფლოსტებუფხწაყფოაძე გახდი! ყოჩაღ, ყოჩაღაძე! ახლა კი — ტანჩაცმაძე! უფ, არ შემჭამე, შვილო?! ნალდი ყაჩაღანაშვილი ხარ! ჭრიჭინობელაძე შენა! რწყილიხტიმიაშვილო!

— კიდევ ვითამაშობო, გვარობა! <sup>ერკენულში</sup> <sup>კარგში</sup> <sup>მთხევეს</sup>  
— კარგი, ოღონდ ცოტა მოუჩქარე, ზოზინაშვილო! ბუზიჭერიაშვილო!

— ეგ უკვე თქვი!

— ვითომ? მაშ თავიჭერიაშვილი მოგწონს?

— ეგ რალაა, ჯობს, დანიქნევიანაშვილი ვიყო. ხომ მიყიდი ჯავვას?

— ყველაფერს გიყიდი, თუ მიქნარებაშვილი არ იქნები. პირდაუბანელაშვილო, ონკანისაკენ, ნაბიჯით იარ!



მხატვარი ბასო ხილაშვილი

19.324



## ქვევა კვუის კვტარა კვტი

გერმანიაში, პრუსიულ ძველ ქალაქ კენიგსბერგში, რომელსაც ახლა კალინინგრადი ჰქვია, 1724 წელს დაიბადა დიდი ფილოსოფოსი იმანუელი კანტი. იმანუელი კანტის ბავშვი იყო და ამან განსაზღვრა მისი ცხოვრების ნირი — მუდმივი წესრიგი და სიზუსტე! იცხოვრა საკმაოდ დიდხანს, 80 წელს. იყო პროფესორი, დიდი სწავლული, მაგრამ არასოდეს არ გასულა თავისი ქალაქის — კენიგსბერგის ფარგლებიდან.

პროფესორი კანტი უცნაური იყო შესახედდავადც. ძალიან ტანდაბალს, წინ ჰქონდა წამოქანებული ცალი მხარი, ხელები და ფეხებიც ჰქონდა პატარა, გამხდარი. სამაგიეროდ, თავი ედგა სრულიად ნორმალური ზომისა, იყო ლამაზიც კი. ცისფერ თვალეში გონიერება უელავდა, სახის ნაკეთებში კი — სიმტკიცე. ერთი შეხედვითვე დარწმუნდებოდი, რომ რასაც ეს კაცი მოინდომებდა, აისრულებდა კიდეც. ხმაც წერილი ჰქონდა, მაგრამ მკაცრი.

კანტი ნიმუში იყო გულმოდგინებისა, ნებისყოფობისა. ზამთარ-ზაფხულ დილის ზუთ საათზე დგებოდა, ზუსტად განსაზღვრულ საათებში მუშაობდა, სადილობდა, სეირნობდა. ცნობილია, რომ უბრალო ხალხი საათებს ასწორებდა მისი გამოჩენისას. ისიც ცნობილია, რომ კანტმა მხოლოდ ერთხელ დააკვირა სადილზე. ეს იყო მამინ, როცა იგი დიდი ფრანგი მოაზროვნის უან ფაკ რუსოს წიგნს კითხულობდა.

კანტს ერთი რესტორანი უყვარდა. ამ რესტორანში მეზღვაურები იურიდნენ თავსა მეზღვაურები ხალხით უყვებოდნენ ფილოსოფოსს თავიანთი მოგზაურობის ამბებს. კანტს დიდი გონება ნათლად ზედავდა უოველიცეს, რასაც მეზღვაურები უხატავდნენ, და ის ისეთი კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ, თითქოს თავად იყო მობრუნებული შორეული ცურვიდან.

კანტი მარტო სხვებს კი არ აკვირდებოდა და მათი საქციელის მიხედვით აკეთებდა დასკვნებს, ის უმთავრესად საკუთარი თავის შესწავლით იყო გართული. ამიტომაც მივიდა ძალიან გახმაურებულ დასკვნამდე: ქვეყნად ორი რამ აღმისებს ხოლმე სულს დიდი გოაცებით — ვარსკვლავიანი ცა ჩემს მაღლა და მორალური კანონები ჩემს შიგნითო. ბევრს ფიქრობდა კანტი ღმერთზეც. იგი ამბობდა: ღმერთის არსებობას გონების მეშვეობით ვერ დაამტკიცებ, მასთან გულით უნდა მიხვიდეო.

კანტს ძალიან ბევრი აქვს დაწერილი. რთულია, ძნელად გასაგები მისი ნაწერები, მაგრამ ყველა უყოყმანოდ აღიარებს, რომ ახალ საუკუნეში მისი ბადალი ფილოსოფოსი ევროპას არ ჰყავს.

გარდაიცვალა კანტი კენიგსბერგშივე 1804 წელს, დასაფლავებულია იქვე.







# კითხვებით გეგმი



ახლათ გახსოვთ, რომ წლეგანდელ № 5 „დილაში“ გამოქვეყნდა საშაში ამოცანა. იმათთვის, ვინც ის ვერ ამოხსნა, ვაქვეყნებთ პასუხს:

თეთრები თამაშობენ e1—g3-ს.

შშეენიერი სვლაა! თეთრებმა თითქოს მარბიელი გაიმეტეს. მაგრამ აბა, დააკვირდით, რა ხდება! შავეებმა რომ თეთრების მარბიელი აიღონ, c3 თეთრი პაიკი შავეების სამივე პაიკს მოკლავს და თამაში დამთავრებულია. ახლა ვთქვათ, შავეებმა მარბიელი არ აიღეს და d 2-ზე მდებარე პაიკით მოკლეს თეთრების c3 პაიკი. მაშინ თეთრები მეორე სვლას g 3 მარბიელით გააკეთებენ, აიღებენ f 4-სა და b 4 შავე პაიკებს და დაიკავენ a 3 უჯრას. შავეები წაგებული არიან.

ახლა კი გთავაზობთ ახალ ამოცანას.

მონახვით თეთრების სვლა, რომელიც უკვე დაღამას მოგებას იძლევა.



## ჭიკო

სამბაროველს ალკა მკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის კომუნალური ორბანისაგვის რესპუბლიკური სახეობის შურნალი უმცროსკლასმელითაის.

გამოდის 1904 წლიდან.  
საქ. კ. ც. ე. გამოქველობა.

მოთავი რედაქტორი  
რეკავი 0680030ლო

სარედაქციო კოლეგია: მუხარე ამო-  
პაძე, მანანა ამიანი, ლამარ პანუა,  
სოსო პოტიანი, მარი ლაითა-  
შვილი, სოლომონ დავრანაშვილი,  
ლევია მესამე, გელა ლოსაბანიძე, მა-  
კაქა მრავლიშვილი, ჯორჯა ნაღ-  
რამა, იმანთხ ნალაური (კ/შე-მდიანი),  
გივი ანუაძე, გივი პიანიანი.

სამხატვრო რედაქტორი  
გიორგი რობინიანი

ტექნიკური რედაქტორი  
მელი წამოძვლი

მისამართი: რედაქციის, გამოქველობის,  
სტამბის—თბილისი, უნიის 14. ტელ-  
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;  
კ/შე-მდიონის 93-10-32, 93-98-18; სამხ.  
რედაქტიონის—93-98-18; გარეუცეობუ-  
ბის 93-98-19.

გადაცემა ახწეობად 27.10.89 წ., ხელმო-  
წერილია დისაბულოდ 25.12.89 წ., ქო-  
ლადის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფის. ნაბ.  
წურც. 2,5. ტირაჟი 141.000, შვეკვითა  
№ 2379

ულზე ნახატი  
ჯ.მხალ ლოლასი

«დილა» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Реваз Иванишвили (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж 141.000. Заказ №2379



კაცს ეს თოვლის ბაბუები ერთნაირი იგონება, რაკი ერთი და იგივე ფერისა აქვთ ქურქები, ქა-  
ლები, ხურჯინები... მაგრამ არ შეცდეთ! გარეგნობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ჩაცმულობითაც  
და, ვინ იცის, იქნებ ხურჯინებშიც სხვადასხვანაირი საჩუქრები უწყვიათ თქვენთვის.  
აბა, მონახეთ, თოვლის ბაბუებიდან რომლები და რითი პეკანან ერთმანეთს.